საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისში, მოსკოვის გამზირზე #25 არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.17.11.008.053) საწყობის არქიტექტურული პროექტის შესაბამისობაზე საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებასთან, ტექნიკურ რეგლამენტის – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“

ქ. თბილისში, მოსკოვის გამზირზე #25 არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.17.11.008.053) საწყობის პროექტი შეასრულა საპროექტო ორგანიზაციამ შპს“GLC “

(მისამართი: ქ. თბილისი, მოსკოვის გამზირი #25)

პროექტის მთავარი არქიტექტორი: ვანო ბეზარაშვილი

საექსპერტო დასკვნის შესადგენად გამოყენებულ იქნა დამკვეთის მიერ მოწოდებული დოკუმენტაცია:
მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებაში, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 თებერვლის №63 დადგენილებით შეტანილი ცვლილებების საფუძველზე 47-ე მუხლით (მუხლი 47." არქიტექტურული პროექტის შემადგენლობა") განსაზღვრული არქიტექტურული პროექტი.

საექსპერტო დასკვნა მოიცავს არქიტექტურული პროექტის ნაწილების შეფასებას ტექნიკურ რეგლამენტთან - "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები" შესაბამისობაზე საქარველოს მთავრობის 2017 წლის 6 თებერვლის №63 დადგენილების („მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებაში ცვლილების შეტ ანის თაობაზე) მე-5 მუხლის, მე-3 პუნქტის მიხედვით.

1. შენიშვნები

განმარტება

1. საექსპერტო დასკვნა წარმოადგენს არქიტექტურული პროექტის საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებასთან ტექნიკურ რეგლამენტის – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“ შესაბამისობის შეფასებას და არ მოიცავს საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ, სამშენებლო სფეროში გამოყენებულ სხვა რაიმე დადგენილებასთან შესაბამისობის ანალიზს.

2. საექსპერტო დასკვნისთვის მოწოდებული დოკუმენტაციის სისწორეზე და რეალობასთან შესაბმისობაზე პასუხისმგებელია მომწოდებელი მხარე.

3. საექსპერტო დასკვნაში გამოყენებული ტერმინები (დაკავებულობა, დაკავებულობის დატვირთვა, მისაწვდომობა და სხვა) შეესაბამება შენობა- ნაგებობის უსაფრთხოების წესებში გამოყენებულ ტერმინებს და უნდა განიმარტოს აღნიშნული წესების მიხედვით. განუმარტავი ტერმინები საყოველთაოდ მიღებული მნიშვნელობით გამოიყენება.

1. ტერმინები და განმარტებები ტერმინი

განმარტება

1. წესები - შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები.
2. შშმპ - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი

• პროექტის აღწერილობა

. პროექტის მიზანს წარმოადგენს სასაწყობე და საოფისე შენობის დაგეგმარება თანამედროვე გეგმარებითი პრინციპების და შენობა ნაგებობების უსაფრთხოების ნორმების გამოყენებით.

მიწის ნაკვეთის მდებარეობა, აღწერა.

. საპროექტო ტერიტორიას ჩრდილო-დასავლეთიდან და სამხრეთ აღმოსავლეთიდან ესაზღვრება არსებული გზები, დასავლეთით - მიმდებარე არეალში კერძო ნაკვეთები

. ნაკვეთის ფართობია 35840კვ.მ, ნიშნულების მაქსიმალური სხვაობაა 3.2მ.

. ტერიტორიას სამანქანო მისასვლელი აქვს ჩრდილო-დასავლეთი საზღვრიდან დასამხრეთ-არმოსავლეთ საზღვრიდან სერვიტუტის გავლით,

. საპროექტო შენობა მოიცავს ერთ სართულიან სასაწყობე შენობას და ორ სართულიან საოფისე შენობას .

I სართულზე დაგეგმარებულია ღია სივრცე, სადაც განთავსდება საკვები პროდუქტების საწყობი და 2 სართულიანი საოფისე ფართი ასევე მომსახურე პერსონალის და მისაწვდომი სან-კვანძი

- ძირითადი ნაწილი

1. დაკავებულობებისა და დაკავებულობის დატვირთვის შეფასება

შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების მიხედვით საპროექტო შენობის ნაწილები კლასიფიცირდება დაკავებულობების მიხედვით და ითვალისწინებს თითოეული ტიპის დაკავებულობისთვის განსაზღვრულ ყველა დეტალურ მოთხოვნას, დაკავებულობები არის კლასიფიცირებული მე-3 თავის **302**-ე ქვეთავის**.** შესაბამისად.

ქვემოთ მოცემულია დაკავებულობა, რომელიც გამოყენებულია პროექტში:

მცირე საფრთხის შემცველი სასაწყობო ჯგუფი სწ-2**,** წესების 311.3 ქვეთავის მიხედვით აღნიშნული დაკავებულობა მოიცავს შენობებს, სადაც არაწვადი მასალები ინახება ხის ყუთებში, მუყაოს კოლოფებში ან ქაღალდის სახვევშია მოთავსებული. პროექტის მიხედვით შენობაში გათვალისწინებულია საკვები პროდუქტების შენახვა.

ასევე საპროექტო ნაგებობაში წარმოდგენილია საქმიანი ჯგუფი

304.1 საქმიანი ჯგუფი სქ. საქმიანი (სქ) ჯგუფის დაკავებულობა მოიცავს შენობის ან ნაგებობის ან მისი

ნაწილის გამოყენებას საოფისე, პროფესიული ან სამომსახურებო ტიპის საქმიანობებისთვის,

მათ შორის, ჩანაწერებისა და ანგარიშების შესანახად

სქ და სწ-2 დაკავებულობა განთავსებულია შენობის 0,00 ნიშნულზე.

სწ-2 დაკავებულობისთვის განსაზღვრულია დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი-46,5 1004 ქვეთავის და **1004.1.2** ცხრილის მიხედვით, შესაბამისად სართულზე განსაზღვრულია საერთო დაკავებულობის დატვირთვა: 0,00 ნიშნულზე სწ2 40 დამკავებელი სქ დაკავებულობისთვის განსაზღვრულია დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი-9.3 1004 ქვეთავის და **1004.1.2** ცხრილის მიხედვით, შესაბამისად სართულზე 19,5 დამკავებელი, მე-2 სართული 3,30 ნიშნულზე - 19,5 დამკავებელი, ჯამში 79 დამკავებელი.

პროექტის მიხედვით განსაზღვრული დაკავებულობა შერჩეულია წესების შესაბამისად და მასი დატვირთვები სწორად არის გამოთვლილი 1004,1.2 ცხრილის მიხედვით.

2. კონსტრუქციის ტიპების შეფასება.

პროექტის ავტორის მიერ საპროექტო შენობისთვის მიკუთვნებული კონსტრუქციის ტიპი - VA შერჩეულია შენობის დაკავებულობის, ფართობისა და სართულიანობის გათვალისწინებით და აკმაყოფილებს წესების 503 ცხრილის მოთხოვნებს.

შენობის ელემენტები-ძირითადი სტრუქტურული ჩარჩო, ბეტონის კარკასი, იატაკის და სახურავის კონსტრუქცია აკმაყოფილებს 601 ქვეთავს, 601 ცხრილის მოთხოვნებს.

გარე კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი აკმაყოფილებს წესების 602 ცხრილში განსაზღრულ მინიმუმს, 1 საათიანი ცეცხლმედეგობა მოეთხოვება მხოლოდ 18-1 და 1-18 ღერძებში (1 ღერძის გასწვრივ) მდებარე გარე კედელს, რაც დაცულია პროექტში, ხოლო დანარჩენ გარე კედლებს - ხანძარსაწინააღმდეგო მანძილიდან და კონსტრუქციის ტიპიდან გამომდინარე - ცეცხლმედეგობა არ მოეთხოვება.

3.სიმაღლისა და ფართობის შეფასება.

საპროექტო შენობის სიმაღლე და ფართობი შესაბამისობაშია კონსტრუქციის ტიპთან

(V A) და აკმაყოფილებს წესების 503 ცხრილის მოთხოვნებს, კერძოდ

- დასაშვები სართულიანობაა 4, ხოლო პროექტით შემოთავაზებულია - 1;
- მაქსიმალური დაშვებული სიმაღლე არის 15.2მ, პროექტის მიხედვით კი - მიწის დონის ნიშნულიდან სიმაღლე 9.8-ია;
- Sწ2 მაქსიმალური დასაშვები ფართობი 1950კვ.მ-ია, ხოლო შემოთავაზებული - 1871,9კვ.მ

(V A) და აკმაყოფილებს წესების 503 ცხრილის მოთხოვნებს, კერძოდ

- დასაშვები სართულიანობაა3, ხოლო პროექტით შემოთავაზებულია - 2;
- მაქსიმალური დაშვებული სიმაღლე არის 15.2მ, პროექტის მიხედვით კი - მიწის დონის ნიშნულიდან სიმაღლე 9.8-ია;
- Sქ მაქსიმალური დასაშვები ფართობი 1670კვ.მ-ია, ხოლო შემოთავაზებული - 364,0კვ.მ

შენობის კუთხეების საპროექტო ტოპოგრაფიული ნიშნულებიდან გამომდინარე განსზღვრულია „მიწის დონე“, რომელიც შეესაბამება 434,34 ნიშნულს.

4. გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასება.

გასასვლელების სისტემაში შემავალი სამივე ელემენტის (გასასვლელთან მისადგომი, გასასვლელი, შენობიდან გამოსასვლელი) ანალიზი განხორციელდა შენობის თითოეული სართულის დაკავებულობის დატვირთვის, გასავლელამდე სავალი მანძილთან დაკავშირებული შეზღუდვების და გასავლელის კომპონენტების ზომების საფუძველზე მე-10 თავის შესაბამისად.
წესების მე-10 თავის 1021.2 ქვეთავის, და 1021.2(1) ცხრილიდან გამომდინარე შენობას ემსაუხურება 1 შიგა გასასვლელის გზა-კიბე და შენობიდან გამოსასვლელი 4 გზა-კარი.
თითოეულ სართულზე გასასვლელამდე მაქსიმალური სავალი მანძილი არ აღემატება 30 მეტრს, რაც აკმაყოფილებს 1021.2 ქვეთავის მოთხოვნებს. გასასვლელი და გასასვლელთან მისადგომი გზა-კიბეები მოწყობილია **1009** ქვეთავის შესაბამისად და აკმაყოფილებს ყველა აუცილებელ მოთხოვნას. გასასვლელთან მისადგომი დერეფანი მოწყობილია **1018** ქვეთავის**,** ხოლო გასასვლელი გზა-კარები მოწყობილია **1008** ქვეთავის შესაბამისად და აკმაყოფილებს ყველა აუცილებელ მოთხოვნას.
ყველა გასასვლელი გრძელდება 1027 ქვეთავის მიხედვით მოწყობილი შენობიდან გამოსასვლელით და სრულდება საზოგადოებრივ გზაზე.

5. გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელის საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასება.

გზა-კიბის მინიმალური სიგანე განისაზღვრება წესების 1005.3 ქვეთავის შესაბამისად, მაგრამ არ უნდა იყოს 1.1მ-ზე ნაკლები. პროექტის მიხედვით გათვალისწინებულია დასაშვებ მინიმუმზე (1.1მ) მეტი სიგანის გზა-კიბე (1.10 მ). გზა-კიბე ასევე აკმაყოფილებენ 1009.7, 1009.8 და 1009.15 ქვეთავის მოთხოვნებს, კიბის საფეხურებთან, ბაქნებთან და სახელურებთან დაკავშირებით. პირველ სართულზე შენობიდან გამოსასვლელი გზა-კარები მოწყობილია 1008 ქვეთავის მიხედვით და ასევე აკმაყოფილებს 716.5 ქვეთავის მოთხოვნას.

გასასვლელი გზა-კარები მოწყობილია 1008 ქვეთავის შესაბამისად და აკმაყოფილებს ყველა აუცილებელ მოთხოვნას. გზა-კარების გამტარუნარიანობის გამოსათვლელად გამოიყენება 1005.3.2. ქვეთავში განსაზღვრული ფაქტორი (5.1 მმ), ასევე კარის სუფთა მინიმალური სიგანე არ უნდა იყოს 82სმ-ზე ნაკლები, რაც დაცულია პროექტში - გასასვლელის გზა-კარების სუფთა მინიმალური სიგანე შეადგენს 1,10 მეტრს.

6.მისაწვდომობის შეფასებას;

მიწის ნაკვეთი უზრუნველყოფილია მისაწვდომი სვლაგეზით. 1007 ქვეთავის შესაბამისად შენობის ოთხი გასასვლელიდან სამი გასასვლელი არის მისაწვდომი და ემსახურება 7%-იანი დახრის მქონე ორი პანდუსი. 1 სართული მთლიანად მისაწვდომია, გათვალისწინებულია ორი მისაწვდომი სან.-კვანძი. მისაწვდომი სვლაგეზი აკმაყოფილებს 1104 ქვეთავის მოთხოვნებს.

მე-11 თავის 1104.4 ქვეთავის 1-ლი პუნქტის მიხედვით, მისაწვდომი სვლაგეზი არ სჭირდება სართულებს, რომელთა საერთო ფართობი არ აღემატება 280კვ.მ-ს და რომლებიც მდებარეობს მისაწვდომი დონეების ზემოთ ან ქვემოთ, საპროექტო შენობის მე-2 სართული ამ მოთხოვნების გათვალისწინებით არ არის მისაწვდომი

7. გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასებას;

საპროექტო შენობის გარე კედლების ყველა კომპონენტი, კერძოდ, გარე კედლის ღიობების მაქსიმალური ფართობი, ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი და ღიობების დაცვის ხარისხი, განსაზღვრულია 705 ქვეთავის მიხედვით და შეესაბამება 705.8 ცხრილს. მოცემული დოკუმენტაციის მიხედვით 1 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხი აქვს მხოლოდ „1-18“ ღერძის გასწვრივ „18“-„1“ ღერძებში მდებარე შენობის გარე კედელს, ვინაიდან ცხრილი 602-ის მიხედვით ამ კედლიდან მინიმალური ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი შეადგენს 0,1 დან 1,28მ-ს, ხოლო დანარჩენ გარე კედლებს ხანძარმედეგობის ხარისხი არ მოეთხოვება, რადგან მათი მინიმალური ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი აღემატება 3,0მ-ს (შერჩეული კონსტრუქციის ტიპიდან (V A) გამომდინარე ცხრილი 602-ის მიხედვით).

გარე კედლების ღიობების ფართობი აკმაყოფილებს ცხრილი 705,8 -ის მოთხოვნებს, კერძოდ:

„18“-„12“ ღერძებში მდებარე ფასადზე გარე კედლის დასაშვები (დაუცველი) ღიობების ფართობი არის 15% რადგან ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი მინ. 3.1მ -ია. პროექტით გათვალისწინებული ღიობების ფართი შეადგენს 9.7%-ს,

„12“-„5“ ღერძებში მდებარე ფასადზე გარე კედლის დასაშვები (დაუცველი) ღიობების ფართობი არის 45% (ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი 7.2მ-დან 8.8 მ-მდე), პროექტით გათვალისწინებული ღიობების ფართი შეადგენს 4%-ს.

„5“-„3“ ღერძებში მდებარე ფასადზე გარე კედლის დასაშვები (დაუცველი) ღიობების ფართობი არის 15% (ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი 3.5.2მ-დან 8.8 მ-მდე), პროექტით გათვალისწინებული ღიობების ფართი შეადგენს 2.3%-ს.

„3“-„1“ ღერძებში „1“ ღერძის გასწვრივ მდებარე ფასადზე გარე კედლებში დაუშვებელია ღიობების განთავსება,რადგან ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი 1.5 მ-ზე ნაკლებია.

„A-G“-ღერძებში დასაშვები (დაუცველი) ღიობების ფართობი შეუზღუდავია (ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი 58.7მ ია

„1“-„8“ ღერძებში მდებარე ფასადზე გარე კედლებში დაუშვებელია ღიობების განთავსება,რადგან ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი 0,1 მ-ზე ნაკლებია.

8. სახურავის ანაწყობების შეფასება

სახურავის კონსტრუქციად გამოყენებულია მილკვდრატი, რომელზეც მოეწყობა სენდვიჩ პანელი.

სახურავის სტრუქტურას და არაძირითად ნაწილებს ცეცხლმედეგობის ხარისხი 601 ცხრილის მიხედვით არ მოეთხოვება,

9. ცეცხლმედეგობის ხარისხის მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასება;

საპროექტო შენობაში თითოეული ნაწილი ინდივიდუალურად არის კლასიფიცირებული 508 ქვეთავის შესაბამისად. შენობის 0,000 ნუშნულზე წარმოდგენილია საქმიანი ჯგუფის და სასაწყობე დაკავებულობა, რაც 508.4 ცხრილის შესაბამისად გამიჯვნას 2 საათიან გამიჯვმას საჭიროებს

10. ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასება.

საპროექტო შენობისთვის (შერჩეული სწ დ ა ს ქ ჯგუფის დაკავებულობებისთვის) 906 ქვეთავის მიხედვით გათვალისწინებულია ხელის ცეცხლმაქრები და ხელით სამართავი განგაშის სისტემა 907.2.15 ქვეპუნქტის მიხედვით სხვა ხანძრისაგან დაცვის სისტემები არ მოეთხოვება.

11. წყალსადენის სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასებას;

წყალსადენის სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების რაოდენობა, შენობის საერთო დაკავებულობის დატვირთვიდან გამომდინარე, შეესაბამება წესების 1602.1 ცხრილის მოთხოვნებს. პროექტით გათვალისწინებულია:

- ორი მისაწვდომი სან-კვანძი;
- საწყობის და ოფისის მომსახურე პერსონალისთვის 4 სან-კვანძი;
- 2 სამომსახურო ნიჟარა
- წყლის დასალევი შადრევანი - სასმელი წყლის აპარატი.

• დასკვნა

ქ. თბილისში მოსკოვის გამზირზე #25 -ში შ.პ.ს ჯლს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ნაკვ. N 01.17.11.008.053), დაპროექტებული საწყობის და ოფისის არქიტექტურული პროექტი შესაბამისობაშია „ტექნიკური რეგლამენტის - შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის #41 დადგენილების მოთხოვნებთან და ეძლევა დადებითი შეფასება განსახორციელებლად

ექსპერტი  თინათინ ყიფიანი

ქ.თბილისში მოსკოვის გამზირზე #25 -ში შ.პ.ს ჯლსის
საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ნაკვ. N 01.17.11.008.053),
საწყობის და ოფისის არქიტექტურული პროექტის
„ტექნიკური რეგლამენტის - შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების
დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის #41
დადგენილების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის თაობაზე

საექსპერტო დასკვნა

დამკვეთი	შ.პ.ს ჯლს
პროექტის ავტორი	ვ. ბეზარაშვილი.
ექსპერტები	თ. ყიფიანი



GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

DIPLOMA

STU № 006923

This is to certify that Mr./Ms. Tinatin Kipiani

was enrolled in 2002 in Georgian Technical University and in 2006 completed the requirements of Faculty of Architecture, Urban Planning and Design

Bachelor's Degree of the University with major in Architecture

By the decision of the State Qualification Commission January 22, 2007. Ms. Tinatin Kipiani was awarded the Academic Degree of Bachelor of Architecture

Rector

Dean

City Tbilisi

Registration # 07690

STU № 006923

2002

2006

2007 22 1

07690



GEORGIA

LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW

TECHNICAL UNIVERSITY OF GEORGIA

MASTER'S

DIPLOMA

MA № 000933

This is to certify that by the decision December 25, 2008

of the Architecture, Urban Planning and Design faculty

of the Technical University of Georgia

Ms. Tinatin Kipiani

born on September 7, 1984

was awarded an academic Degree of Master with a Major in

Architecture

seal Dean of the faculty

Rector

Date March 10, 2009 Registration No 01000

საქართველო

საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

მაგისტრის

დიპლომი

MA № 000933

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის

ფაკულტეტის 2008 წლის 25.12 გადაწყვეტილებით,

თინათინ ყიფიანს

დაბადებულს 1984 წლის 7 სექტემბერს

მიენიჭა არქიტექტურის

მაგისტრის აკადემიური ხარისხი.

ფაკულტეტის დეკანი

რექტორი

თარიღი 10/03/2009 სარეგისტრაციო # 01000

შპს ელიტა ბურჯი
საქართველო. ქ.თბილისი.
ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი 118ა
ტელ: (995 32) 2 79 13 31
ს/კ: 206120437
ელ.ფოსტა: info@elitaburji.com

ELITA BURJI LTD
Georgia. Tbilisi.
118a Monk Gabriel Salos AVE.
Tel: (995 32) 2 79 13 31
E/C. 206120437
E-Mail: info@elitaburji.com

№ 11.01.17/2

11 იანვარი 2017 წელი

ც ნ ო ბ ა

ეძლევა თინათინ ყიფიანს (პირადი № 62001035095) მასზედ, რომ 2011 წლის 01 მაისიდან 2017 წლის 01 იანვრამდე იგი ნამდვილად მუშაობდა შპს "ელიტა ბურჯში", არქიტექტორ-დიზაინერის თანამდებობაზე

ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის სპეციალისტი დ.პეტრიაშვილი



• თინათინ ყიფიანი

ბინა 10, კორპუსი 1 ვარკეთილი 2 მიკრო თბილისი ,საქართველო. ტელ.: 512528

მობ. ტელ.: 599995215.

დაბადების თარიღი: 07/09/1985

MAIL: tika_kipiani@yahoo.com

განათლება

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტი 2002-2006. ასევე მიენიჭა არქიტეტურის მაგისტრის აკადემიური ხარიხი 2008 წელს

ენები:

ინგლისური (კარგად)

რუსული (კარგად)

ქართული (მშობლიური)

კომპიუტერული ცოდნა

Archikad. Autocad. 3ds max. photoshop

სამუშაო გამოცდილება

კომპანია **„კოლეგიუმი“** პოზიცია არქიტეტორი (24.07.2007 025.04.2011)

შ.პ.ს „ელიტაბურჯი„ პოზიცია არქიტეტორი (01.05.2011 01.01.2017)

ინტერესები:

არქიტეტურა ინეტრიერის დიზაინი

რეკომენდატორი

კომპანია „კოლეგიუმი“ დირექტორი თამაზ მურვანიძე

შ.პ.ს „ელიტაბურჯი„ კადრების უფროსი ნინო ქოქოსაძე